ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

Hertie School Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში

2023

აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში

ადამიანის უფლებათა ცენტრი

ავტორი: გია ჩხაიძე

რედაქტირება: ალეკო ცქიტიშვილი, ანა ჯაბური

მონიტორები: გია ჩხაიძე, ალეკო ცქიტიშვილი

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC); www.coalitionfortheicc.org

მისამართი:

0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: www.humanrights.ge

ვებ-საიტი: www.hrc.ge

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

I. შესავალი **4**

II. მეთოდოლოგია **4**

III. აქციების მონიტორინგის შედეგები და ძირითადი მიგნებები **5**

1. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქცია მთავრობის კანცელარიასთან 5
2. „ეს არის საქართველო - დიდება გმირებს“ - უკრაინის სოლიდარობის აქცია საქართველოს პარლამენტთან 6
3. 7 მარტის აქცია - ,,არა რუსულ კანონს“ 7
4. 8-9 მარტის საპროტესტო აქცია - ,,არა რუსულ კანონს, გამოდი ღირსების დასაცავად“ 9
5. „ალტ-ინფოს“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ აქცია-მსვლელობა სააკაძის მოედნიდან რუსთაველის გამზირისაკენ 11
6. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქცია - „ერთად ევროპაში“ 12
7. გია გაჩეჩილაძის („უცნობი“) და ზაზა პაპუაშვილის აქცია - „მოვდივარ - საქართველო უპირველეს ყოვლისა“ 13
8. აქცია „გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ“ 15
9. ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქცია 16

IV. დასკვნა **19**

V. რეკომენდაციები **20**

I. შესავალი

წინამდებარე ანგარიში ასახავს თბილისში სამოქალაქო აქტივისტების, პოლიტიკური პარტიების თუ სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებული შეკრებების მონიტორინგის შედეგებს. მონიტორინგი განხორციელდა პროექტით - **„ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში“**, 2023 წლის იანვრიდან ივლისამდე პერიოდში.

ანგარიშის მიზანია მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის თავისუფლების მომწესრიგებელი კანონმდებლობისა და მისი პრაქტიკული რეალიზაციისას გამოვლენილი დარღვევების იდენტიფიცირება და სამართლებრივი ანალიზი. ასევე - აქციებზე სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების ქმედებების არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასება. ანგარიში ამ მიმართულებით აერთიანებს მონიტორინგის შედეგებს და ძირითად მიგნებებს.

საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დააკვირდნენ 9 სხვადასხვა აქციას, რომელთაგანაც თითოეულს ჰქონდა კონკრეტული მიზანი და მოთხოვნა. შეკრებების ძირითადი ნაწილი იყო სპონტანური ხასიათის და მათ შესახებ ინფორმაცია, ძირითადად, სოციალური ქსელის საშუალებით ქვეყნდებოდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების რამდენიმე თვალშისაცემი დარღვევა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან. კერძოდ, პოლიციამ არაერთხელ გამოიყენა არაპროპორციული ძალა და სპეციალური საშუალებები მშვიდობიანი აქციის დასაშლელად.[1] ამასთან, პოლიციის თანამშრომლებმა, სავარაუდოდ, დაარღვიეს საპროცესო კანონმდებლობა აქციის მონაწილეების ადმინისტრაციული წესით დაკავებისას.[2]

II. მეთოდოლოგია

აქციების მონიტორინგს ახორციელებდა ადამიანის უფლებათა ცენტრის 2 მონიტორი, რომლებიც ყოველი აქციის შესახებ დეტალურ ინფორმაციას აგროვებდნენ მონიტორინგის კითხვარის გამოყენებით. მონიტორების ანგარიშებს თან ერთვოდა ფოტო და ვიდეომასალა, შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს განვითარებული მოვლენების დოკუმენტაციისთვის.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აქციებს აკვირდებოდნენ ქალაქ თბილისში უშუალოდ საპროტესტო აქციების მსვლელობის ადგილებზე. აქციების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციას მონიტორები სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელიდან - Facebook-იდან იღებდნენ, სადაც ორგანიზატორები დაგეგმილი აქციების შესახებ ინფორმაციას ავრცელებდნენ.

უშუალოდ აქციებზე დაკვირვების გარდა, მონიტორები იკვლევდნენ მედიის ღია წყაროებს. ასევე, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ჩაწერა 2 ინტერვიუ აქციების

[1] იხ. მაგალითად: 7 მარტის საპროტესტო აქცია - „არა რუსულ კანონს“ *infra* გვ. 6; 8-9 მარტის საპროტესტო აქცია - „არა რუსულ კანონს“ *infra* გვ. 9.
[2] იხ. მაგალითად: ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქცია *infra* გვ. 19.

ორგანიზატორებთან, კერძოდ - სამოქალაქო მოძრაობის ორ წარმომადგენელთან და, პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერთან.

აქციებზე დაკვირვების საფუძველზე, მონაცემთა ანალიზისათვის, ადამიანის უფლებათა ცენტრმა დამატებით ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია აქციების გამართვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოების გაფრთხილებისა და ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, წინამდებარე ანგარიშში, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე, შეფასებულია, თუ რამდენად შეესაბამება სახელმწიფოს ორგანოების თანამშრომელთა ქმედებები ეროვნულ კანონმდებლობას, ისევე როგორც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უფლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

III. აქციების მონიტორინგის შედეგები და ძირითადი მიგნებები

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები, ჯამში, დააკვირდნენ 9 აქციას. ზოგიერთ აქციას ახასიათებდა სპონტანურობა. ხშირ შემთხვევაში კი, დაგეგმილი შეკრებების ადგილის, დროის და მიზნების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ქვეყნდებოდა სოციალურ ქსელებში. აქციების ორგანიზატორთა შორის იყვნენ პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო აქტივისტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები.

1. ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქცია მთავრობის კანცელარიასთან

2023 წლის 7 თებერვალს, 17:00 საათზე, მთავრობის ადმინისტრაციასთან გაიმართა პოლიტიკური პარტია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქცია. აქციაზე შეკრებილების მთავარი მოთხოვნა იყო საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისთვის სასჯელის გადავადება და მისი სამკურნალოდ უცხოეთში გადაყვანა.

აქციის დაწყების წინ, პოლიციამ მთავრობის ადმინისტრაციის შენობიდან 30 მეტრში, კიბეებთან განათავსა რკინის ბარიერები და შემოსაზღვრა ტერიტორია, რომლის შიგნითაც აქციის მონაწილეებს აეკრძალათ შესვლა.

ადგილზე მობილიზებული პოლიციის ეკიპაჟები გადანაწილებულნი იყვნენ მიმდებარე ქუჩებზე. ჯამში, აქციაზე იმყოფებოდა 100-მდე პოლიციელი. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის 15-მდე მანქანაც. პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის ძალადობის ესკალაციას ან/და შელაპარაკებას ადგილი არ ჰქონია.

აქციაში 200-მდე ადამიანი მონაწილეობდა. ადგილზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები და დაუბრკოლებლად აშუქებდნენ აქციის მიმდინარეობას. აქცია გაიმართა მშვიდობიანად, ექსცესებს ადგილი არ ჰქონია.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

პოლიციამ პავლე ინგოროყვას ქუჩის გზის სავალი ნაწილი აქციის შესახებ ანონსის გავრცელების შემდეგ, დილის საათებშივე გადაკეტა[3] - მიუხედავად იმისად, რომ საპროტესტო აქციის დაწყება 17:00 საათზე იგეგმებოდა. კითხვებს აჩენს პოლიციის მიერ

[3] მთავრობის ადმინისტრაციასთან პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟია მობილიზებული - გადაკეტილია გზის სავალი ნაწილი, ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://t.ly/IBZT [04.07.2023].

ინგოროყვას ქუჩის სავალი ნაწილის დილის საათებში გადაკეტვის საჭიროება მაშინ, როცა აქცია არ იმართებოდა უშუალოდ ამ ქუჩაზე.

აქციაზე დაცული იყო შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.

2. „ეს არის საქართველო - დიდება გმირებს“ - უკრაინის სოლიდარობის აქცია საქართველოს პარლამენტთან

აქციის შესახებ ინფორმაცია ერთი თვით ადრე გახდა ცნობილი, როდესაც პარტიებმა: ,,დროა“, ,,გირჩი - მეტი თავისუფლება“, „სტრატეგია აღმაშენებელი“ და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებმა ამის შესახებ ერთობლივად გამართულ ბრიფინგზე ისაუბრეს.[4] 24 თებერვლისთვის რუსთაველის გამზირზე აქციის დაწყების დროდ 19:00 საათი დაანონსდა. პარალელურად, „ევროპულმა საქართველომ“ დააანონსა მსვლელობა რუსთაველის ძეგლიდან საქართველოს პარლამენტისკენ.[5]

24 თებერვალს რუსთაველის ძეგლის მიმდებარედ, ხალხის სიმრავლის გათვალისწინებით, საჭირო გახდა ქუჩის გადაკეტვა. პარლამენტისკენ მსვლელობის დაწყების წინ შეკრებილებს ერთ-ერთმა უკრაინელმა ორგანიზატორმა მიმართა. შეკრებილებმა დაგმეს უკრაინაში რუსეთის შეჭრა და უკრაინას გამარჯვება უსურვეს. ხალხის მსვლელობას უკან მიჰყვებოდა პოლიციის ეკიპაჟი. ვიდრე რუსთაველის გამზირზე ხალხი თავს მოიყრიდა, პოლიციამ გადაკეტა გამზირის მონაკვეთი თავისუფლების მოედნიდან სასტუმრო „თბილისი მერიოტამდე“.

აქციაზე გამომსვლელთა მთავარი მესიჯები შეეხებოდა უკრაინის მხარდაჭერასა და საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობას: „სოლიდარობა უკრაინელ ხალხს!“, „დიდება უკრაინის თავისუფლებისთვის მებრძოლ გმირებს!“, „საქართველო გახდება ევროკავშირის წევრი და ამას ხელისუფლება ხელს ვერ შეუშლის!“ - აცხადებდნენ აქციაზე სიტყვით გამომსვლელები.

ადგილზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები და დაუბრკოლებლად აშუქებდნენ აქციის მიმდინარეობას. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები სხვადასხვა ლოკაციიდან შეუფერხებლად აკვირდებოდნენ აქციას.

აქცია გაიმართა სრულიად მშვიდობიანად. ექსცესებს ადგილი არ ჰქონია. აქციაზე, დაახლოებით, პოლიციის 150 თანამშრომელი იყო მობილიზებული.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

აქციაზე ფორმიან პოლიციელებთან ერთად, იმყოფებოდნენ უფორმო პოლიციელები, რომლებსაც ერთმანეთთან ჰქონდათ კომუნიკაცია. დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც არაიდენტიფიცირებად ავტომანქანაში მჯდომი პირი (რომელსაც არ ეცვა პოლიციის ფორმა) პერიოდულად ესაუბრებოდა ფორმიან პოლიციელებს.[6] შესაძლებელია, რომ ავტომობილში იმყოფებოდა შსს-ს თანამდებობის პირი, რომელიც მითითებას აძლევდა პოლიციელებს. როგორც სამოქალაქო მოძრაობის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, ზოგადად, აქციებზე ხშირად იმყოფებიან არაიდენტიფიცირებადი პოლიციელები. ისინი აქციის მონაწილეებს უღებენ ფოტოებს, რომლებსაც შემდეგ

[4] ოპოზიციის ნაწილი 24 თებერვალს, საქართველოს ევროპული არჩევანის მხარდამჭერ და უკრაინის სოლიდარობის აქციას გამართავს, რუსთავი 2, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ynib9v [04.07.2023].
[5] 24 თებერვალის ანონსი, ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/gqa0hn [04.07.2023].
[6] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 24.02.2023.

სავარაუდოდ, უზიარებენ ერთმანეთს აქციაზე მყოფი პირების ვინაობის დადგენის მიზნით.[7] პოლიციელები ჯგუფებად იყვნენ შეკრებილები სხვადასხვა ლოკაციაზე. მათი მხრიდან, დამატებით რაიმე სახის პრევენციული ღონისძიების გამოყენებას ადგილი არ ჰქონია.

3. 7 მარტის აქცია - ,,არა რუსულ კანონს“

საქართველოს პარლამენტში საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ ინიცირებულმა კანონპროექტებმა - „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ სამოქალაქო საზოგადოების მღელვარება და პროტესტი გამოიწვია.

საპროტესტო აქცია დაიწყო 7 მარტს დილით. ვითარება გამწვავდა მას შემდეგ, რაც საპარლამენტო უმრავლესობამ მიმდინარე პლენარული სხდომის დღის წესრიგი მოულოდნელად შეცვალა და პარლამენტმა ე.წ. უცხო ქვეყნის გავლენის აგენტების შესახებ კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვა დაიწყო.[8] დღის წესრიგის ასეთ ცვლილებას, ცოტა ხანში მოჰყვა პარლამენტთან უფრო მეტი მოქალაქის პროტესტი.

7 მარტს საღამომდე აქცია მშვიდობიანად მიმდინარეობდა. საპროტესტო აქციის მონაწილეები, პროტესტს ხმაურით - სასტვენებით, დასარტყამი ინსტრუმენტებით, მეგაფონის (რუპორის) სირენებით და ასევე - პიროტექნიკის კვამლით გამოხატავდნენ.[9] საპარლამენტო სესიის დასასრულისკენ, დაახლოებით, 20:10 საათისათვის, როდესაც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონი[10], პარლამენტის გვერდითა შესასვლელებიდან, ჩიტაძისა და ჭიჭინაძის ქუჩებზე, საჭირო გახდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების პარლამენტის შენობიდან გამოყვანა. ამ დროისათვის, სამართალდამცველებმა პარლამენტის შესასვლელებთან მოაწყვეს კორდონი და დემონსტრანტებს შეუზღუდეს ჩიტაძისა და ჭიჭინაძის ქუჩებზე გადაადგილების შესაძლებლობა. 20:15 საათისთვის, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორმა დააფიქსირა, რომ ჩიტაძის ქუჩიდან პარლამენტის გვერდით შესასვლელში შევიდა პოლიციის 3 ავტობუსი, რომელშიც სავარაუდოდ სპეცრაზმელები იმყოფებოდნენ.[11] 20:20 საათისათვის, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე, პოლიციამ დაიწყო მომიტინგეების დაშლა სპეციალური საშუალებების - წყლის ჭავლისა და წიწაკის გაზის გამოყენებით. ჩიტაძის ქუჩაზე კი პოლიციამ დაიწყო აქციის მონაწილეთა დაკავება.[12] დაკავებების მიუხედავად, აქცია მაინც გრძელდებოდა. პოლიციამ არაერთხელ გამოიყენა წყლის ჭავლი და წიწაკის გაზი.[13] პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გაუფრთხილებლად გამოყენების შემდეგ, აქციის ზოგიერთმა მონაწილემ პოლიციელებისკენ ისროლეს ქვები, სხვადასხვა საგანი და რამდენიმე ე. წ. მოლოტოვის

---

[7] ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ გიორგი მშვენიერაძესთან და რაფიელ კაკაბაძესთან (კითხვარი სამოქალაქო მოძრაობების წარმომადგენლებისათვის): 25.05.2023.

[8] 6 მარტს, ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარე, მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რომ კანონპროექტები პარლამენტის პლენარულ სესიაზე 9 მარტს განიხილებოდა, იხ. რუსული კანონპროექტები პარლამენტის სესიაზე 9 მარტს გავა, ტაბულა, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/n8xzx [05.07.2023].

[9] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023.

[10] „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო, რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/swnq3 [05.07.2023].

[11], ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023.

[12] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023.

[13] იქვე.

კოქტეილი.[14] ასევე, აქციის მონაწილეებმა დააზიანეს პარლამენტის შესასვლელებთან დაყენებული საპოლიციო ბარიერები - ლითონის მყარი ფირფიტები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 7 მარტს საიტზე გამოაქვეყნა განცხადება და მოუწოდა აქციის ორგანიზატორებს და მონაწილეებს, დაეცვათ მართლწესრიგი და დამორჩილებოდნენ პოლიციის კანონიერ მოთხოვნას, მაგრამ უშუალოდ აქციაზე, მომიტინგეთა დაშლამდე, ასეთი გაფრთხილება პოლიციის მხრიდან არ გაჟღერებულა,[15]

საბოლოოდ, საპოლიციო სპეციალური საშუალებებისა და პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენების შედეგად, 7 მარტის აქცია დაიშალა შუაღამის შემდეგ, 01:00 საათზე.[16]

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

7 მარტის აქციაზე გამოვლინდა სამართალდამცავების მხრიდან ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის არაერთი შემთხვევა.

მშვიდობიანი საპროტესტო აქციის სპეციალური საშუალებებით დარბევისას, სამართალდამცავებმა დაარღვიეს „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნები. კერძოდ, პოლიციის თანამშრომლები ვალდებული არიან, სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე გააფრთხილონ აქციის მონაწილეები და მათ დაშლისთვის საკმარისი დრო მისცენ.[17] ამასთან, სამართალდამცავებმა სპეციალური საშუალებები ან/და ფიზიკური ძალა უნდა გამოიყენონ მხოლოდ და მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის პირობებში, თანაზომიერების პრინციპის გათვალისწინებით და „კონკრეტული გარემოებებისათვის საჭირო მინიმალური ოდენობით“.[18] პოლიციამ აქციის მონაწილეები სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ გააფრთხილა მხოლოდ ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ, ისეთ ვითარებაში, როცა აქციის მონაწილეებს არ ჰქონდათ საკმარისი დრო დაშლისათვის.[19] ეს კი ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო სტანდარტებს.[20] .

ამავე დროს, „დადგენილი სტანდარტია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ გამოვლენილი იქნება მანიფესტაციის ცალკეული მონაწილის ან მონაწილეების მიერ შეუსაბამო ქცევა, ხსენებული არ აქცევს მშვიდობიან აქციას ავტომატურად არამშვიდობიანად“.[21] თუკი აქციის

---

[14] იხ. პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩადენილი სამართალდარღვევის ფაქტები (ვიდეო კადრები), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2023 წლის 9 მარტი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/8vq99 [18.07.2023]. იხ. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 მარტის ფეისბუქ გვერდის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/l8iql [18.07.2023].

[15] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს 07.03.2023 წლის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/5lspo [05.07.2023].

[16] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 07.03.2023.

[17] „პოლიციის შესახებ“ სქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

[18] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 დეკემბრის No1002 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ შინაგან საქმეთა მინისტრის 2021 წლის 11 ივლისის ბრძანება, მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი.

[19] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ერთობლივი განცხადება საქართველოში საპოლიციო ძალების მიერ მოქალაქეთა საპროტესტო აქციის დაშლის თაობაზე, 2023 წლის 31 მაისი, ხელმისაწვდომია: rb.gy/yi523 [19.07.2023]

[20] OSCE/ODIHR, *Human Rights Handbook on Policing Assemblies*, 2016, გვ. 103, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/zklbi [19.07.2023].

[21] მშვიდობიანი სამოქალაქო პროტესტის წინააღმდეგ პოლიციამ უკანონო და არაპროპორციული ძალა გამოიყენა, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ghntq8 [17.07.2023].

ცალკეული მონაწილეები ძალადობრივად იმოქმედებდნენ, მათ მიმართ ინდივიდუალურად უნდა გატარებულიყო აუცილებელი და პროპორციული ღონისძიებები.[22] ამის საპირისპიროდ შსს-ს თანამშრომლებმა მშვიდობიანი მონაწილეების წინააღმდეგაც გამოიყენეს სპეციალური საშუალებები, რაც, როგორც საქართველოს სახალხო დამცველის,[23] ისე ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, არ იყო აუცილებელი და პროპორციული ჩარევა შეკრების თავისუფლებაში.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება გამოიყენება მართლწესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად, სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ობიექტზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად ან შეიარაღებული დამნაშავის დასაკავებლად.[24] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, 7 მარტის საპროტესტო აქციის დროს არც ერთი დასახელებული წინაპირობა არ არსებობდა. ამდენად, პოლიციამ წყალსატყორცნი სატრანსპორტო საშუალება გამოიყენა კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით. ამასთან, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც წიწაკის გაზი და წყლის ჭავლი, ზოგ შემთხვევაში, გამოიყენებოდა ერთმანეთში შერევით, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტს და ქმნის ადამიანის მიზანმიმართული დაზიანების საფრთხეს.

4. 8-9 მარტის საპროტესტო აქცია - ,,არა რუსულ კანონს, გამოდი ღირსების დასაცავად“

8 მარტს საპროტესტო აქცია საქართველოს პარლამენტის წინ საღამოს 19:00 საათზე დაიწყო.[25] აქციის მიმდინარეობისას მომიტინგეთა ნაწილს ჰქონდა პარლამენტის შენობის პიკეტირების მცდელობა. მოგვიანებთ, პარლამენტის უკანა შესასვლებებისკენ დაძრულმა მომიტინგეებმა მოანგრიეს პარლამენტის კართან დამონტაჟებული რკინის ჯებირი, რის შემდეგაც პარლამენტის შიგნით მყოფმა სპეცრაზმმა დაახლოებით 22:00 საათისთვის, გამოიყენა წყლის ჭავლი.[26] 22:30 საათისთვის, პარლამენტის უკანა შესასვლელთან, პოლიციამ დაიწყო აქციის მონაწილეების დაშლა წყლის ჭავლით და ცრემლსადენი გაზით.[27] მთელი ღამის განმავლობაში, პოლიციამ აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ რამდენჯერმე გამოიყენა წყლის ჭავლი და წიწაკის გაზი. ამასთან, წიწაკის გაზი და წყლის ჭავლი, ზოგ შემთხვევაში, გამოიყენებოდა ერთმანეთში შერევით.

8 მარტს 19:00 საათზე დაწყებული აქცია 9 მარტის დილის 7 საათამდე გაგრძელდა, მთელი ამ ხნის განმავლობაში, პოლიციელებმა აქცია რამდენჯერმე დაშალეს;[28] სპეცდანიშნულების რაზმებმა გამოიყენეს სპეციალური საშუალები შეკრების მონაწილეთა

[22] იხ. საქართველოს სახალხო დამცველი რუსთაველის გამზირზე 2023 წლის 7-9 მარტს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება, საქართველოს სახალხო დამცველი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/b2snc [18.07.2023].

[23] საქართველოს სახალხო დამცველი რუსთაველის გამზირზე 2023 წლის 7-9 მარტს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება, საქართველოს სახალხო დამცველი ,ხელმისაწვდომია: https://rb.gy/b2snc [18.07.2023].

[24] „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტი.

[25] იხ. ღონისძიება ფეისბუქზე - არა რუსულ კანონს - გამოდი ღირსების დასაცავად!, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/48jgdr [05.07.2023].

[26] პარლამენტის უკანა შესასვლელთან აქციის მონაწილეების მიმართ წყლის ჭავლი გამოიყენეს, ტაბულა, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/akoocx [05.07.2023].

[27] რა მოხდა 8-9 მარტის აქციის ღამეს – ქრონოლოგია, ნეტგაზეთი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/b8ksmi [05.07.2023].

[28] იხ. 7-8 მარტის საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/elwojm [05.07.2023].

დასარბევად.[29] 9 მარტს შსს-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 7-8 მარტს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, პოლიციელებზე სავარაუდო თავდასხმის ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით ერთი პირი, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების შესაბამისად, ადმინისტრაციული წესით,[30] ჯამში 133 პირი დააკავეს.[31] სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში დაწყებულია გამოძიება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციელების მხრიდან, უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე.[32]

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

8-9 მარტის აქციებზე გამოვლინდა სამართალდამცავების მხრიდან ეროვნული კანონმდებლობის და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევის არაერთი შემთხვევა.

აქციის დასაშლელად პოლიციამ კვლავ გამოიყენა სპეციალური საპოლიციო საშუალებები, მათ შორის - წყლის ჭავლი და წიწაკის გაზი და დაიწყო მოქალაქეთა მასობრივი დაკავებების სერია ქუჩებში, ქაშვეთის ეკლესიასა და სუპერმარკეტებში.[33] წიწაკის გაზის და წყლის ჭავლის ერთმანეთში შერევა ქმნის ადამიანის მიზანმიმართული დაზიანების საფრთხეს, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტს.[34]

ამასთან, გამოიკვეთა ჟურნალისტების საქმიანობის ხელშეშლის ფაქტებიც - მათ შორის, გამოვლინდა სასამართალდამცველების მხრიდან მათზე ძალადობის ფაქტებიც. აღნიშნულთან დაკავშირებით, მედიის ადვოკატირების კოალიციამ სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს, ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლისა და სხვა დარღვევებთან დაკავშირებით, მიმართა და გამოძიების დაწყებისაკენ მოუწოდა.[35] სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადებით, აქციის მონაწილეების მიმართ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედებების თაობაზე, რომელიც მათ შორის ცალკეული ჟურნალისტების უფლებების დარღვევას ეხებოდა, გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა მყისიერად დაიწყო.[36] გამოძიება ამ დრომდე არ დასრულებულა.[37]

---

[29] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 08.03.2023.

[30] ადმინისტრაციული წესით დაკავებული პირების საქმეთა სამართალწარმოებისას გამოვლენილი დარღვევების შესახებ, იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადება 2023 წლის 2-3 და 7-9 მარტს დაკავებული პირების საქმეების შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/uar9u [06.07.2023].

[31] იხ. შინაგან საქმეთა სამინისტროს 09.03.2023 წლის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/je26u [05.07.2023].

[32] იხ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის 2023 წლის 9 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/4isiw [06.07.2023].

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 08.03.2023.

[34] 7-8 მარტის საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების შეფასება, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/elwojm [05.07.2023].

[35] იხ. მედიის ადვოკატირების კოალიციის 2023 წლის 13 მარტის განცხადება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/25piuc [05.07.2023].

[36] იხ. სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება 7-9 მარტის აქციებთან დაკავშირებით მიმდინარე გამოძიების თაობაზე, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/37ujg [05.07.2023].

[37] 7-9 მარტის მოვლენების სამართლებრივ შეფასებასთან დაკავშირებით, იხ. ასევე, საქართველოს სახალხო დამცველი რუსთაველის გამზირზე 2023 წლის 7-9 მარტს განვითარებულ მოვლენებს ეხმიანება, საქართველოს სახალხო დამცველი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/b2snc [18.07.2023].

5. „ალტ-ინფოს“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ აქცია-მსვლელობა სააკაძის მოედნიდან რუსთაველის გამზირისაკენ

14 მარტს ,,ალტ-ინფოს“ და ,,კონსერვატიული მოძრაობის“ აქცია სააკაძის მოედნის მიმდებარედ დაიწყო და შემდეგ მსვლელობით გადაინაცვლა რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტთან. აქციის გამართვის შესახებ ინფორმაცია, ფეისბუქ-პოსტის საშუალებით გაავრცელა ,,კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, შოთა მარტინენკომ. გავრცელებულ პოსტში აღნიშნული იყო, რომ ,,დასავლეთის აგენტები“ აპირებდნენ „ალტ-ინფოს“ ოფისზე თავდასხმას, რომლის აღსაკვეთადაც, 14 მარტს, ოფისთან ახლოს აქცია ჩატარდებოდა. ,,კონსერვატიულმა მოძრაობამ“ ამავე დღეს, დილის 10:00 საათზე მსგავსი აქციაა დააანონსა.

უშუალოდ, სააკაძის მოედნის მიმდებარედ, დაახლოებით 10:00 საათისათვის, 100-მდე ადამიანი იყო შეკრებილი. ისინი განლაგდნენ სააკაძის მოედნის მიმდებარედ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსთან ახლოს. მათ წინ იდგნენ სამართალდამცველები და უზრუნველყოფდნენ წესრიგის დაცვას. მოგვიანებით, აქციის მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა 2000-მდე.

აქციაზე გაკეთდა ანტიდასავლური განცხადებები, მათ შორის: „ჩვენი არჩევანი არ არის დასავლეთი“, ,,ჩვენი საქმე არის საქართველო“, „უარს ვამბობთ ევროკავშირზე“. აქციაზე გამომსვლელებმა სამი მოთხოვნა დაასახელეს: 1. გათავისუფლდნენ 2021 წლის 5 ივლისის კონტრ-აქციაზე დაკავებულები;[38] 2. დაისაჯონ პირები, რომლებმაც 7-8 მარტს გამართულ აქციებზე იძალადეს პოლიციელებზე; 3. „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტთან დაკავშირებით ჩატარდეს რეფერენდუმი, რათა გაირკვეს სურს თუ არა ხალხს კანონის მიღება.[39]

სააკაძის მოედნის მიმდებარედ, მობილიზებული იყო პოლიციის 10-მდე ეკიპაჟი, მათ შორის, მინივენის ტიპის 2 სხვადასხვა ავტომობილი, რომელთა დანიშნულებაც, როგორც წესი, არის შეკრებაზე დაკავებულები პირების დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაყვანა.

12:00 საათზე, აქციის ორგანიზატორებმა გამოაცხადეს დაგეგმილი სვლაგეზი: სააკაძის მოედნიდან საქართველოს პარლამენტისკენ. აქციის მონაწილეებმა ვარაზისხევის ავლით გადაინაცვლეს რუსთაველის გამზირზე. მსვლელობას თან ახლდა საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი. ქუჩებში მსვლელობისას, მათ შორის - პეკინის გამზირზე, დროებით შეფერხდა ტრანსპორტის მოძრაობა, რადგან აქციების მონაწილეები იმყოფებოდნენ ტრანსპორტის სავალ ადგილას.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

უშუალოდ მსვლელობის დროს, რუსთაველის გამზირზე, ადგილი ჰქონდა დაძაბულობას. კერძოდ, „ალტ-ინფოს“ წევრებმა „ჭავჭავაძის ცენტრის“ დამფუძნებლის - ზაზა ბიბილაშვილის ოფისს, სხვადასხვა საგანი ესროლეს, მათ შორის - ქვა, რომელიც, ზაზა ბიბილაშვილის განცხადებით, ოფისის ერთ-ერთ თანამშრომელს ხვდებოდა.[40]

---

[38] აქციის მონაწილეთა მოთხოვნების შესახებ, იხ. პარლამენტის წინ, "ალტ-ინფოს" აქციაზე ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს, რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/vqpi7, [18.07.2023].

[39] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 14.03.2023.

[40] ზაზა ბიბილაშვილის განცხადებით, „ალტ-ინფოს“ წევრებმა მათ ოფისს ქვა და სხვადასხვა საგანი ესროლეს, ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/iyaaak [04.07.2023].

საქართველოს პარლამენტთან გადანაცვლების შემდეგ, „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერის, ზურა მახარაძის მოწოდების საფუძველზე, აქციის წევრებმა პარლამენტთან აღმართული ევროკავშირის დროშა ჩამოხსნეს და დაწვეს.[41] ამ დროს ადგილზე მცირე დაძაბულობასაც ჰქონდა ადგილი, პოლიცია ცდილობდა აქციის მონაწილეები ჩამოეყვანა დროშის ბოძიდან, როდესაც ისინი ცდილობდნენ ევროკავშირის დროშის ადგილზე ქართული დროშის აღმართვას.

ევროკავშირის დროშის დაწვასთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმავე დღეს გაავრცელა განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174[18] მუხლის საფუძველზე, ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო.[42] მოგვიანებით, დროშის დაწვის ფაქტზე რამდენიმე პირი დაჯარიმდა.[43]

აქციაზე დაცული იყო შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.

6. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქცია - „ერთად ევროპაში“

9 აპრილს რუსთაველის გამზირზე, საქართველოს პარლამენტთან, გაიმართა აქცია სახელწოდებით „ერთად ევროპაში“. აქციის გამართვის შესახებ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა, ლევან ხაბეიშვილმა 14 მარტს გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა და ხელისუფლებას ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულებისკენ მოუწოდა.[44] აქციის გამართვის მიზანი საქართველოს ევროინტეგრაციის მხარდაჭერა იყო.

აქციაზე იმყოფებოდნენ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წევრები და საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები, აგრეთვე - სტუდენტები.[45]

საპროტესტო აქციის მონაწილეების მთავარი მოთხოვნები იყო: ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულება; ნიკა გვარამიასა და მიხეილ სააკაშვილის, ასევე - 7-9 მარტის აქციების მონაწილის, ლაზარე გრიგორიადისის გათავისუფლება; აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ სანქცირებული მოსამართლეების გადადგომა; დეოლიგარქიზაცია და ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის რეფორმა.[46]

აქციის მიმდინარეობისას, პარლამენტის მიმდებარედ, რუსთაველის გამზირი გადაკეტილი იყო. ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიციის მანქანები, მათ შორის, ე.წ. მინივენის ტიპის ავტომობილები (ჯამში 10-მდე), რომელთა დანიშნულებაც, როგორც წესი, არის სხვადასხვა შეკრებაზე დაკავებულები პირების დროებითი მოთავსების იზოლატორებში გადაყვანა. ადგილზე იმყოფებოდნენ სხვადასხვა მედიის წარმომადგენლები და აშუქებდნენ აქციის მიმდინარეობას.

---

[41] „ალტ-ინფოსა“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ წარმომადგენლებმა პარლამენტთან აქცია გამართეს, რომლის დროსაც ევროკავშირის დროშა დაწვეს [ვიდეო], პირველი არხი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/whilab [04.07.2023].

[42] შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 მარტის განცხადება ,ხელმისაწვდომია: https://rb.gy/6tfal6 [04.07.2023].

[43] პარლამენტთან ევროკავშირის დროშის დაწვის ფაქტზე რამდენიმე პირი დააჯარიმეს, ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/kn0sas [04.07.2023].

[44] ,,ერთად ევროპაში“ - რუსთაველის გამზირზე აქცია მიმდინარეობს, ფორმულა, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/gdllo [06.07.2023]; იხ., ასევე, ევროკომისიის 12 რეკომენდაცია: European Delegation to Geogia, *The Twelve Priorities,* EEAS, 20 September 2022, available at: https://rb.gy/8u1xo [accessed 19.07.2023].

[45] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 09.04.2023.

[46] ლევან ხაბეიშვილმა აქციის მონაწილეებს მოთხოვნები გააცნო, რადიო თავისუფლება, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/tzfiz [06.07.2023].

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, კანონდარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა არც პოლიციის თანამშრომლების და არც აქციის მონაწილეების მხრიდან: აქცია იმართებოდა კონსტრუქციულ რეჟიმში, მშვიდობიანად. თავის მხრივ, ადგილზე იმყოფებოდნენ პოლიციის ეკიპაჟები. შეკრების დაწყებამდე და შემდეგაც ადგილზე იმყოფებოდა დაახლოებით, 300-მდე პოლიციელი, რომლებიც იცავდნენ საზოგადოებრივ წესრიგს.

7. გია გაჩეჩილაძის („უცნობი“) და ზაზა პაპუაშვილის აქცია - „მოვდივარ - საქართველო უპირველეს ყოვლისა“

აქციის ჩატარების შესახებ ინფორმაცია „უცნობმა“ - გია გაჩეჩილაძემ საკუთარ გადაცემაში "კიდობანი“ 2023 წლის 11 აპრილს გაავრცელა.[47] ხოლო მოძრაობა ,,აი უცნობის“ ორგანიზებული ეს აქცია[48] 30 აპრილს, რესპუბლიკის მოედანზე გაიმართა. აქციის დაწყებამდე, 16:30 საათისთვის, გადაკეტილი იყო რესპუბლიკის მოედნის შესასვლელები.

ლოკაციაზე ხალხი 17:00 საათიდან შეიკრიბა, სადაც დამონტაჟებული დიდი მონიტორებიდან უყურეს იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის გუნდების „ნაპოლის“ და „სალერნიტანას“ თამაშს. ამის შესახებ აქციის ორგანიზატორებმა მას შემდეგ მიიღეს გადაწყვეტილება, როდესაც ცნობილი გახდა, რომ 30 აპრილს იტალიის ჩემპიონატში იმართებოდა საფეხბურთო მატჩი ქართველი ფეხბურთელის - ხვიჩა კვარაცხელიას მონაწილეობით. შესაბამისად, ამ თამაშისადმი დიდი ინტერესის გამო, შესაძლებელი იყო, ხალხი არ მისულიყო აქციაზე. ამის გამო, გადაწყდა რესპუბლიკის მოედანზე დამონტაჟებულიყო მონიტორი ფეხბურთის საყურებლად. მატჩის შემდეგ, 19:00 საათზე, დაიწყო აქციის ოფიციალური ნაწილი და სიტყვით გამოსვლები.

აქციის დაემთხვა ცივი და წვიმიანი ამინდიც. ორგანიზატორებმა წინა დღეს მოუწოდეს მონაწილეებს, წამოეღოთ ქოლგები და საწვიმარი მოსასხამები. აქციაზე საწვიმარი მოსასხამების ერთნაირი ფერები მიანიშნებდა, რომ სავარაუდოდ, აქციის მონაწილეებს საწვიმრები აქციის ორგანიზატორებმა დაურიგეს.[49]

აქციის სლოგანები იყო: ,,არა ომს!“, „მშვიდობა ჩვენს ქვეყანას!“ „საქართველო უპირველეს ყოვლისა“. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, აქცია აპოლიტიკური იყო, რომელიც პოლარიზაციასთან, ქვეყანაში რევოლუციური სცენარის განვითარების რისკებთან და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებთან დაკავშირებით საზოგადოებაში დაგროვებულ წუხილს გამოხატავდა.[50] მიუხედავად ამისა, აქციაზე არაერთი პოლიტიკური და ანტისადავლური განცხადება გაისმა.[51]

აქციის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ, შეკრებილიყვნენ მშვიდობიანად. 20:00 საათისთვის, რეგიონებიდან მიკროავრობუსებით ორგანიზებულად ჩამოყვანილმა

---

[47] ,,მოვდივარ“ - უცნობმა აქციის გამართვის ზუსტი დრო დაასახელა, Newposts, 11 აპრილი 23:39 GMT+4, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/mmcvx [06.07.2023].

[48] რესპუბლიკის მოედანზე მოძრაობა „აი უცნობის“ ორგანიზებით აქცია მიმდინარეობს, ინტერპრესნიუსი, 2023 წლის 30 აპრილი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/6s84o [20.07.2023].

[49] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 30.04.2023.

[50] რესპუბლიკის მოედანზე იწყება აქცია სლოგანით - „მოვდივარ!“, პირველი არხი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/fdafi, [06.07.2023].

[51] იხ. რესპუბლიკის მოედანზე გამართული აქციის მონაწილეებს ზაზა პაპუაშვილმა რეზიუმეს სახით წერილი გააცნო, პირველი არხი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/r2rwi [06.07.2023].

მოქალაქეებმა ასევე ორგანიზებულად გადაინაცვლეს მიკროავტობუსებისკენ და გაემგზავრნენ რეგიონებში.

რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ პოლიციის მანქანები, მათ შორის, ე.წ. მინივენის ტიპის ავტომობილები (ჯამში 10-მდე, რომელთაგან ე.წ. მინივენის ტიპის პოლიციის მანქანა იყო 4).[52] რუსთაველის გამზირის მხარეს ასევე იდგნენ დაბურულმინიანი შკოდის მარკის ავტომანქანები, რომლებსაც არ ჰქონდათ წარწერა, რომ პოლიციას ან რომელიმე უწყებას ეკუთვნოდა. შეკრების დაწყებამდე და შემდეგაც, ადგილზე იმყოფებოდა დაახლოებით, 60-მდე პოლიციელი. ხოლო აქციაში 10 000-მდე მოქალაქე მონაწილეობდა.[53]

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

აქციის დაწყებამდე, 16:30 საათზე, პოლიციიას გადაკეტილი ჰქონდა რესპუბლიკის მოედნის შესასვლელები. პოლიციამ, ასევე, გადაკეტა მიხეილ ჯავახიშვილის ქუჩიდან რეზო თაბუკაშვილის ქუჩისკენ მიმავალი მიწისქვეშა საავტომობილო გზა. თაბუკაშვილის ქუჩაზე აქცია არ იმართებოდა, მაგრამ ქუჩის პირას, რესპუბლიკის მოედნის ქვემოთ, მრავლად იდგა რეგიონებიდან ჩამოსული მიკროავტობუსები.

17:00 საათზე პოლიციამ გადაკეტა მთელი მოედანი, ისევე, როგორც გიორგი ახვლედიანის, ლეო ქიაჩელის, რეზო თაბუკაშვილის ქუჩები.[54] წინა აქციებზე გამოკვეთილი პრაქტიკით, გზის სავალი ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იკეტება, როდესაც ხალხი ვერ ეტევა ტროტუარზე და საჭირო ხდება გზის გადაკეტვა.[55] ეს განსაზღვრულია კანონითაც. კერძოდ, „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გზის სავალი ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იკეტება, როდესაც ხალხი ვერ ეტევა ტროტუარზე და საჭირო ხდება გზის გადაკეტვა.[56]

ადამიანის უფლებათა ცენტრმა საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა თბილისის მერიიდან - შეიტანეს თუ არა აქციის ორგანიზატორებმა „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-8 მუხლების ფორმალური მოთხოვნების საფუძველზე - შესაბამისი გაფრთხილება მასზედ, რომ შეკრებისას საჭირო გახდებოდა ტრანსპორტის სავალი ადგილის გადაკეტვა.[57] მერიიდან მიღებული წერილით მხოლოდ ის დაზუსტდა, რომ შეკრება დაიგეგმა ორგანიზებულად და მას არ ჰქონია სპონტანური ხასიათი. მშვიდობიანი აქციის გამართვის თაობაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული იყო გაფრთხილება.[58] თუმცა, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს არ დაუკონკრეტებია, ეცნობა თუ არა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, რომ შეკრება იმართებოდა ტრანსპორტის სავალ ადგილას.

რაც შეეხება აქციის მიმდინარეობისას ტრანსპორტის სავალი ადგილის გადაკეტვის საჭიროებას - ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების შეფასებით, აქციის

[52] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 30.04.2023.
[53] შეკრებაში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ანალიზისთვის, იხ. რამდენი ადამიანი ესწრებოდა ,,უცნობის“ აქციას რესპუბლიკის მოედანზე ? მითების დეტექტორი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ooi2a [06.07.2023].
[54] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 30.04.2023.
[55] იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ ,,ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელთან: 28.06.2023.
[56] ,,შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 11^1 მუხლის მე-4 პუნქტი.
[57] ადამიანის უფლებათა ცენტრის ქალაქ თბილისის მერიისათვის 2023 წლის 29 მაისის N OL-6465 მიმართვის წერილი.
[58] ქალაქ თბილის მერიიდან 2023 წლის 2 ივნისს მიღებული წერილი.

მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით, რესპუბლიკის მოედნის მიმდებარე რეზო თაბუკაშვილის ქუჩის გადაკეტვის საჭიროება არ არსებობდა.

8. აქცია „გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ“

აქციის გამართვის შესახებ ინფორმაცია 19 მაისს გავრცელდა სოციალურ ქსელ ფეისბუქით.[59] პარტია „ევროპული საქართველო“ თავის ფეისბუკ გვერდზე მოუწოდებდა მოქალაქეებს, 28 მაისს მისულიყვნენ აქციაზე, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ „ტაბულა“, პარტია „ევროპული საქართველო“, ამომრჩეველთა განათლების საზოგადოება და „თავისუფლების ინსტიტუტი“.[60]

აქციაზე სიტყვით არავინ გამოსულა. სცენაზე მოწყობილი დიდი ეკრანიდან საუბრობდნენ საქართველოს ისტორიის გამორჩეული საზოგადო მოღვაწეები, რომელთა აუდიო თუ ვიდეოჩანაწერები დაცულია ეროვნულ არქივებში. ასევე, ეკრანზე გახმოვანებული იყო მე-19 საუკუნის საზოგადო მოღვაწეების - ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და სხვათა ციტატები რუსეთის იმპერიასთან ბრძოლის შესახებ.[61]

საპროტესტო აქციაზე იმყოფებოდნენ აქციის ორგანიზატორი პარტიის - ევროპული საქართველოს“ ლიდერები - მათ შორის, გიგა ბოკერია, თამარ ჩერგოლეიშვილი. თამარ ჩერგოლეიშვილი მეთვალყურეობდა აქციის საორგანიზაციო და ტექნიკურ მხარეებს, გიგა ბოკერია კი აქციის მიმდინარეობას მედიასთან ურთიერთობას წარმართავდა.[62]

აქციაში მონაწილეობდა 500-600 ადამიანი. აქცია მიმდინარეობდა მშვიდობიანად. რუსთაველის გამზირზე გზის გადაკეტვის საჭიროება, პარლამენტის წინ შეკრებილი მოქალაქეების მცირე რაოდენობის გათვალისწინებით, საჭირო არ გამხდარა.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

აქციის ორგანიზატორებმა იმოქმედეს „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით დადგენილი ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად. კერძოდ, მერიაში შეიტანეს სათანადო გაფრთხილება,[63] რითაც იტყობინებოდნენ, რომ 28 მაისს პარლამენტთან გაიმართებოდა აქცია 20:00 საათიდან 23:00 საათამდე.[64] მერიას ასევე ეცნობა, რომ აქციის ორგანიზატორები 27 მაისიდან დაიწყებდნენ ადგილზე სცენის და აპარატურის აწყობას.[65] მიუხედავად გაფრთხილებისა, აქციის გამართვამდე მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ პარტია „ევროპულ საქართველოს“ შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აძლევდა უფლებას,

[59] აქციის ანონსი ,,ევროპული საქართველოს“ პარტიის ფეისბუკ გვერდზე: ხელმისაწვდომია: https://rb.gy/mshpy [06.07.2023].

[60] გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ – 28 მაისს, 20:00-ზე პარლამენტთან აქცია გაიმართება, ტაბულა, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/u6wz2 [06.07.2023].

[61] რა ხდება ამ წუთებში პარლამენტთან, სადაც აქცია - "გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ" მიმდინარეობს, (ფილმი), პალიტრა ვიდეო, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/mw5bu [21.06.2023].

[62] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 28.05.2023.

[63] მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოში შეკრების/მანიფესტაციის ჩატარებამდე 5 დღით ადრე გაფრთხილების შეტანის მოთხოვნას ადგენს ‘შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი ნაწილი. ამავე გაფრთხილებაში, სხვა ინფორმაციასთან ერთად, უნდა მიეთითოს შეკრების დაწყების დრო და ადგილი.

[64] ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ ,,ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლთან: 28.06.2023

[65] ,,ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისათვის“ ქალაქ თბილისის მერიისათვის 2023 წლის 23 მაისის N85/1 მიმართვის წერილი.

პარლამენტის წინ მოეწყო სცენა.[66] როგორც შემდეგში გახდა ცნობილი, ეს იყო დროებითი შეფერხება და საბოლოოდ, პარლამენტთან შესაძლებელი გახდა სცენის მოწყობა.[67]

ტექნიკური შეფერხების აღმოფხვრის შემდეგ აქცია მშვიდობიანად გაიმართა და დაცული იყო შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.

9. ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქცია

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები 28 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით აკვირდებოდნენ 7-8 მარტის საპროტესტო აქციის მონაწილე სამოქალაქო აქტივისტის, ლაზარე გრიგორიადისის მამის, ბექა გრიგორიადისის აქციას, რომლის მიზანი იყო პარლამენტის შენობის მიმდებარე სკვერში კარვის დადგმა პერმანენტული პროტესტის გამოსახატად. აქციის ორგანიზატორის მოთხოვნა იყო, გათავისუფლდეს მისი შვილი, ლაზარე გრიგორიადისი, რომელსაც პროკურატურამ 78 მარტის აქციების მიმდინარეობისას პოლიციელის ჯანმრთელობის ხელყოფის ბრალი წარუდგინა.[68]

ბექა გრიგორიადისს რამდენჯერმე ჰქონდა კარვის გაშლის მცდელობა, მაგრამ ყოველ ჯერზე პოლიცია ძალის გამოყენებით მას ართმევდა კარავს.[69] კარვის გაშლამდე და მის ჩამორთმევამდე პოლიციის მხრიდან ადგილი არ ჰქონია მოწოდებას, რომ ბექა გრიგორიადისი დამორჩილებოდა პოლიციელთა მითითებებს. ამასთან, კარვის, როგორც საკუთრების ჩამორთმევისას, პოლიციელებს ბექა გრიგორიადისისთვის არ განუმარტავთ მისი ჩამორთმევის და შემდეგში უკან დაბრუნების პროცედურა.[70] სკვერში აქციის მონაწილეებთან შედარებით, პოლიციელთა არაპროპორციული რაოდენობა იყო მობილიზებული.[71]

29 მაისს, ბექა გრიგორიადისისთვის კარვის ჩამორთმევის შემდეგ, პოლიციამ დააკავა სამოქალაქო აქტივისტი, ბეჟან წვიმიტიძე, რომელიც მობილური ტელეფონით იღებდა აქციაზე განვითარებულ მოვლენებს. ადმინისტრაციული წესით დაკავების შემდეგ, პოლიციამ მას არ მისცა საშუალება, დაკავშირებოდა ოჯახს და თავის ადვოკატს. ღამის 2 საათისთვის, იგი გადაიყვანეს დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში, რომელიც თბილისიდან დაახლოებით 50 კილომეტრშია. აქტივისტის ადვოკატის განმარტებით, დაკავებისას, ბეჟან წვიმიტიძეს დაუხიეს მაისური და მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა.[72]

1 ივნისს ბექა გრიგორიადისმა კვლავ სცადა კარვის გაშლა, მაგრამ - უშედეგოდ. ამ შემთხვევაში პოლიციამ იგი დააკავა იმ დროს, როცა ცდილობდა ჩანთიდან კარვის ამოღებას. ბექა გრიგორიადისმა და მისმა მხარდამჭერებმა კარვის გაშლამდე პოლიციას წინასწარ მიმართეს და აღნიშნეს, რომ აპირებდნენ კარვის გაშლას, ხოლო თუ პოლიცია მათ ამას აუკრძალავდა, მაშინ, გაეკეთებინათ შესაბამისი გაფრთხილება. პოლიციელებს

---

[66] გიგა ბოკერია - პუტინისტური რეჟიმის მოცილების გარეშე ჩვენ ვერ გავალთ თავისუფლების სამშვიდობოს, ამას ეძღვნება დღევანდელი აქცია, ინტერპრესნიუსი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/pmi9g [06.07.2023].

[67] იხ. რამდენიმესაათიანი შეფერხების შემდეგ რუსთაველზე აქციის სცენა ეწყობა, ტაბულა, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/jepbd [10.07.2023].

[68] სისხლის სამართლის კოდექსის 353[1] მუხლის მე-2 ნაწილი.

[69] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 28.05.2023.

[70] მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 13.07.2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ehc9q [18.07.2023].

[71] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 28.05.2023.

[72] მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 13.07.2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ehc9q [18.07.2023].

გაფრთხილება არ გაუკეთებიათ.[73] დაკავებულ ბექა გრიგორიადისს პოლიციამ ასევე არ მისცა საშუალება, დროულად დაკავშირებოდა ოჯახს და ადვოკატს. იგი დაკავების იზოლატორში 24 საათი იმყოფებოდა. საბოლოოდ, სასამართლომ იგი სცნო სამართალდამრღვევად და დააჯარიმა 2000 ლარით.

3 ივნისს ბექა გრიგორიადისმა, საბოლოოდ, მოახერხა პარლამენტის უკანა სკვერში კარვის გაშლა ისე, რომ სამართალდამცავებს მისთვის უკვე ხელი აღარ შეუშლიათ. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე აქციის მონაწილეებზე ბევრად მეტი პოლიციელი იყო მობილიზებული, მათ ხელი არ შეუშლიათ ბექა გრიგორიადისისთვის კარვის გაშლაში.[74] ის აგრძელებს პროტესტის გამოხატვას საქართველოს პარლამენტთან.

მონიტორინგის ძირითადი მიგნებები:

აქციის მონიტორინგის შედეგად, სამართალდამცველების ქმედებების ნაწილში გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რაც მიუთითებს ბექა გრიგორიადისის და ბეჟან წვიმიტიძის შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევაზე.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია მშვიდობიანი შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.[75] შეკრების შეწყვეტა ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ასეთი შეკრება მიიღებს კანონსაწინააღმდეგო ხასიათს.[76] ამ უფლებით სარგებლობისას, მოქალაქეებს შეუძლიათ გამოხატონ თავიანთი პროტესტი ნებისმიერი საკითხის მიმართ, საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ; ასევე - აირჩიონ მშვიდობიანი პროტესტის კონკრეტული ფორმა.[77] შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავის შესაფარებლად ან საზოგადოებისა თუ პროტესტის ადრესატების ყურადღების მისაქცევად გამოიყენონ კარავი და ის განათავსონ სკვერში ან სხვა საზოგადოებრივ ადგილებზე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციის შემთხვევაში.[78]

პროტესტის გამოხატვის მიზნით კარვის გაშლასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობა რამე სახის შეზღუდვას არ ადგენს. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დაუშვებელია ტრანსპორტის სავალი ნაწილის ავტომანქანებით, სხვადასხვა კონსტრუქციებით ან/და საგნებით გადაკეტვა“.[79] კანონი არ კრძალავს კარვის გაშლას სკვერში ან ისეთ ადგილზე, სადაც ტრანსპორტის სავალი ნაწილის გადაკეტვის თუ ადმინისტრაციული შენობის პარალიზების საშიშროება შეიქმნება.

ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა განცხადება გაავრცელა, სადაც აღნიშნულია, რომ ,,კარვის განთავსება შეკრების

[73] იქვე.
[74] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 28.05.2023.
[75] საქართველოს კონსტიტუცია, 21-ე მუხლი.
[76] იქვე.
[77] მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 13.07.2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ehc9q [18.07.2023].
[78] იხ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმეზე N3/6463-16. ამ საქმეში, სასამართლომ უკანონოდ მიიჩნია ის, რომ თბილისის მერიამ „პარტიზანი მებაღეობის“ წევრებისთვის არ მისცა პროტესტის გამოხატვის მიზნით მერიის შენობის წინ კარვის გაშლის საშუალება. შესაბამისად, მერიას დაევალა, რომ მათთვის ამაში ხელი აღარ შეეშალათ.
[79] „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11[1] მუხლის მე-4 ნაწილი.

თავისუფლების რეალიზაციის განუყოფელი ნაწილია“.[80] ,,განსაკუთრებით პრობლემური და არაპროპორციულია ეს შეზღუდვა იმ დროს, როცა კარვის განთავსებით არ ხდება შენობის შესასვლელის ბლოკირება ან ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხება“.[81] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, კარვის, როგორც ,,დროებითი ინსტალაციის“ დადგმა წარმოადგენს პოლიტიკური გამოხატვის ფორმას, რომელიც დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით (გამოხატვის თავისუფლება). შესაბამისად, ამ უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ მოთხოვნებს.[82] სკვერში კარვის გაშლის აკრძალვა კი, სათანადო საფუძვლის არარსებობის პირობებში, წარმოადგენდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვას.[83]

აგრეთვე, დაკვირვების საფუძველზე გამოვლინდა, რომ კარვის გაშლამდე და მის ჩამორთმევამდე პოლიციის მხრიდან ადგილი არ ჰქონია მოწოდებას, რომ ბექა გრიგორიადისი დამორჩილებოდა პოლიციელთა მითითებებს. ამასთან, კარვის, როგორც საკუთრების ჩამორთმევისას, პოლიციელებს ბექა გრიგორიადისისთვის არ განუმარტავთ მისი ჩამორთმევის და შემდეგში უკან დაბრუნების პროცედურა.[84]

რაც შეეხება აქციაზე დაკავებული აქტივისტის საქმეს, დაკავებისას პოლიციის მხრიდან დაირღვა კანონმდებლობის მოთხოვნები. კერძოდ, ადმინისტრაციული წესით დაკავების შემდეგ, პოლიციამ მას არ მისცა საშუალება, დაკავშირებოდა ოჯახს და თავის ადვოკატს. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, დაკავებისთანავე პირს შეუძლია მოითხოვოს ადვოკატის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.[85] საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად კი, ადმინისტრაციული დაკავების დროს დამკავებელი მოხელე ვალდებულია, დაკავებულს დაკავებისთანავე გასაგები ფორმით განუმარტოს: „ა) მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი; ბ) რომ აქვს უფლება ადვოკატზე; გ) რომ აქვს უფლება, მისი სურვილის შემთხვევაში, მისი დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მის მიერ დასახელებულ ახლობელს“.[86]

ამრიგად, აქტივისტ ბექან წვიმიტიძის უფლებები დაირღვა, როცა დაკავების შემდეგ მას არ განუმარტეს დაკავების საფუძველი და არ მისცეს ოჯახთან და ადვოკატთან დაკავშირების შესაძლებლობა. ასევე, ეჭვებს აღძრავს მისი დუშეთის დროებითი მოთავსების იზოლატორში განთავსება, თბილისიდან შორს, რადგან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დამკავებელ მოხელეს პირდაპირ ავალდებულებს, დაკავებული დაუყოვნებლივ გადაიყვანოს პოლიციის უახლოეს დაწესებულებაში.[87]

---

[80] სახალხო დამცველი 2023 წლის 1 ივნისს საქართველოს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება, საქართველოს სახალხო დამცველი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/uijey [10.07.2023].
[81] იქვე.
[82] *იხ. Frumkin v. Russia,* no. 74568/12, §107 6 June 2016.
[83] სახალხო დამცველი 2023 წლის 1 ივნისს საქართველოს პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებს ეხმაურება, საქართველოს სახალხო დამცველი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/uijey [10.07.2023].
[84] მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 13.07.2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ehc9q [18.07.2023].
[85] საქართველოს კონსტიტუცია, მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი.
[86] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 245-ე მუხლის პირველი ნაწილი.
[87] საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 245-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ამასთან, ბეჟან წვიმიტიძის და ბექა გრიგორიადისის დაკავებისას პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა და მათ უკანონოდ შეუზღუდა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება.

IV. დასკვნა

მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ დაკვირვებული აქციების ორგანიზატორთა შორის იყვნენ პოლიტიკური პარტიები, სამოქალაქო აქტივისტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოძრაობები. გამართული აქციები ატარებდა პოლიტიკურ ან სოციალურ შინაარსს, რომელთა ორგანიზატორებს ჰქონდათ კონკრეტული მოთხოვნა და მოთხოვნის ადრესატი. 7-9 მარტის აქციებს, მიუხედავად შეკრების მსვლელობისას ადამიანის უფლებათა დარღვევის არაერთი ფაქტისა - რეალური ცვლილება მოყვა - საპარლამენტო უმრავლესობამ უარი თქვა პარლამენტში იმ კანონპროექტების განხილვაზე, რომლებსაც აქციის მონაწილეები აპროტესტებდნენ. გარკვეული მოთხოვნები გაჟღერდა სხვა აქციების მიმდინარეობისასაც - მაგალითად, ევროკომისიის 12 რეკომენდაციის შესრულება, ლაზარე გრიგორიადისის გათავისუფლება და სხვა. ამ შემთხვევებში, შეკრებებმა ნაკლებად იმოქმედა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესსა და შინაარსზე.

მონიტორინგის ერთ-ერთი მთავარი მიგნებაა, რომ ძირითად შემთხვევებში, სამოქალაქო ჯგუფების მიერ ორგანიზებული აქციების დიდი ნაწილი სპონტანური იყო და მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს არ მიმართავდნენ გაფრთხილების წერილით. გამონაკლისის სახით, შეიძლება დასახელდეს პოლიტიკური პარტია „ევროპული საქართველოს“ მიერ ორგანიზებული აქცია, ასევე - გია გაჩეჩილაძის („უცნობი“) და ზაზა პაპუაშვილის აქცია - ,,მოვდივარ“, რომლის გამართვის შესახებ აქციის ორგანიზატორებმა წინასწარ მიმართეს ადმინისტრაციულ ორგანოს და გააფრთხილეს.

საანგარიშო პერიოდში, აქციის ორგანიზატორებს, ძირითადად, ჰქონდათ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობა. მიუხედავად ამისა, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების დარღვევის არაერთი ფაქტი გამოვლინდა, სულ მცირე, 3 შემთხვევაში: 7 მარტის, 8-9 მარტის და ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას, სადაც, ასევე, გამოიკვეთა პოლიციის მხრიდან არაპროპორციული ძალის გამოყენებისა და კანონმდებლობის ფორმალური ნაწილების დარღვევის ფაქტები.

7-9 მარტს, პოლიციამ გამოიყენა სპეციალური საშუალებები და ძალის გადამეტებით დაშალა პროტესტი, რომელსაც მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით მასშტაბური პროტესტის ზოგიერთი მონაწილის ქმედებას, რომელიც სცდებოდა კანონის ფარგლებს.

ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციების შემთხვევაში პოლიციამ გამოიყენა არაპროპორციული ძალა და უსაფუძვლოდ დააკავა როგორც აქციის ორგანიზატორი, ისე - ადგილზე მყოფი ერთ-ერთი აქტივისტი. ამასთან, საკუთრების - კარვის ჩამორთმევა მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით.

შესაბამისად, კვლავ პრობლემურია სამართალდამცავების მხრიდან აქციის დაშლისას შეკრების მონაწილეთა წინააღმდეგ გადამეტებული ძალის გამოყენების, ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების დარღვევისა და აქციაზე დაკავებული პირების მიმართ არაპროპორციული ძალის გამოყენება და ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელშეშლა.

V. რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებულ შეკრების თავისუფლებას და გაუმართლებლად არ ჩაერიოს ამ უფლებით დაცულ სფეროში;
- არ დაუშვას საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული შეკრების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა შსს-ს თანამშრომლების მიერ;
- უზრუნველყოს შსს-ს თანამშრომლების მიერ აქციის სპეციალური საშუალებებით დაშლის შესაბამისობა ეროვნულ კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან - მათ შორის, მხოლოდ და მხოლოდ პროპორციული ძალის გამოყენების პრინციპის შესაბამისად, უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში.

სპეციალურ საგამოძიებო სამსახურს:

- უზრუნველყოს სამართალდამცველების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტებასთან, საპროტესტო აქციის მონაწილეთა და ჟურნალისტების, აქტივისტების და აქციის მონაწილეების მიმართ ჩადენილ ძალადობასთან ანდა არაპროპორციული ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული შემთხვევების დროული, სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.